სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080172406432316

 # 3821

26 / დეკემბერი / 2016 წ.

სსიპ „კონკურენციის სააგენტოსთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2016 წლის 22 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა სსიპ „კონკურენციის სააგენტოს“ SMP160003584 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს 2 ერთეული მაგიდის კომპიუტერისა და 1 ერთეული ფერადი მრავალფუნქციური პრინტერის (CPV 30200000 - კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები) შესყიდვას.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, სსიპ „კონკურენციის სააგენტოს“ სსიპ „შემოსავლების სამსახურთან“ გაფორმებული აქვს მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც, სსიპ „კონკურენციის სააგენტოს“ თანამშრომლებს დაშვება აქვთ საგადასახადო და საბაჟო მონაცემთა ბაზებთან. აღნიშნულ მონაცემთა ბაზებში მუშაობა გულისხმობს, ანალიტიკური რეპორტების წარმოებას სხვადასხვა მიმართულებით, რაც რეალურად წარმოდგენილია ინფორმაციის დიდი მოცულობით. ზოგ შემთხვევებში, ინფორმაციამ შეიძლება მიაღწიოს 5000000 ჩანაწერს. მოკვლევისა და მონიტორინგის მიმდინარეობის პროცესში, საჭიროა ამ ჩანაწერის მონაცემთა ბაზებიდან ამოღება და შემდეგ მასში მუშაობა. დღეის მდგომარეობით, სააგენტოს ბალანსზე არსებული კომპიუტერები ვერ ახერხებს აღნიშნული ინფორმაციის ვერც მოძიებას და ვერც მის შემდგომ დამუშავებას. სააგენტოს სამუშაო პროცესი მთლიანად ეყრდნობა შესაბამისი ბაზრის ციფრობრივ მონაცემებს, პროცენტულ წილებს, რომელთა მიღებაც დამოკიდებულია სწორედ აღნიშნული მოცულობითი ინფორმაციის დამუშავებასთან. რაც შეეხება მრავალფუნქციურ პრინტერს, სააგენტოს მიერ უკვე დამუშავებული ინფორმაცია, ხშირ შემთხვევებში, წარმოდგენელია გრაფიკებისა და დიაგრამების სახით, რომელთა ნაწილი, ხშირ შემთხვევაში, საჯარო ინფორმაციის გაცემის დროს, ხდება საზოგადოებრივი ინტერესის ობიექტი და შესაბამისად, აუცილებელია მათი ფერადი ფორმით ამობეჭდვა და წარდგენა.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, როგორც მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, ამ ეტაპზე მიმდინარე მოკვლევა/მონიტორინგთან დაკავშირებით არსებული დიდი მოცულობის ინფორმაციის შესაბამისი საგადასახადო/საბაჟო მონაცემთა ბაზებიდან ამოღება უნდა განხორციელდეს მაქსიმალურად შეზღუდულ ვადებში, რათა მოხდეს მისი შემდგომი სრულფასოვანი დამუშავება. ამასთან, შესყიდვის განუხორციელებლობის შემთხვევაში, შესაძლოა, საფრთხე შეექმნას სსიპ „კონკურენციის სააგენტოს“ გამართულ და ეფექტიან ფუნქციონირებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მოცემული შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ „კონკურენციის სააგენტოს“ SMP160003584 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე